



MES 4 23 0000438748



21/04/2023

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 5 აპრილს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/85804863347?pwd=bFVSa1FOVHJFT2pKWk13b1Q1WnZTUT09>

Meeting ID: 858 0486 3347

Passcode: 375417

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ზაირა ბერიძე - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პროფესიული განათლების მრჩეველი (საბჭოს წევრი);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);

მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნინოშუბითიძე - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მსოფლიო ბანკის ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის მონიტორინგის, შეფასების, კვლევისა და ანგარიშგების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

ნატო მეტურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდლაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

გიორგი ხარეზავა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

გიორგი ფხაკაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე

გვანცა ნარიმანიძე - პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების კოორდინატორი

ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი

რეზო შარაბიძე - მმართველი ორგანოს დირექტორი

ნინო ხაჩიძე - კოლეჯის დირექტორი

მარიკა ვარდოსანიძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

სსიპ კოლეჯი „აისი“

მალხაზ ასლამაზაშვილი - დირექტორი

დავით პაპაშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო საწარმოო დარგში

ნინო ფროდიაშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი

ლელა ბერიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:

ნინო გზირიშვილი

ქეთევან ჯანელიძე

ხათუნა ფარეიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:13 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენელს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან ცენტრში შემოვიდა წერილი საბჭოსთან შუამდგომლობის შესახებ, რომელიც ეხებოდა დაწესებულების ორ პროგრამას, „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ და „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი“, აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით საბჭომ 2023 წლის 24 თებერვალს მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილება №223073 და №223074 პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ). სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოს თხოვნით, საბჭოს გადაეხედა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ წერილში საუბარი იყო ახალი გარემოებებისა და ახალი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ, ცენტრის მხრიდან აღინიშნა, რომ შუამდგომლობდა უნივერსიტეტს საბჭოსთან, რათა საბჭოს კიდევ ერთხელ ემსჯელა ამ საკითხებთან დაკავშირებით.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი:**

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-დეკორატორი“ /01321/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-გრიმიორი“ /01519/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის „ქართულენოვანი რელიგიური ტური“ /01130/ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის „მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი“ /01590/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. სსიპ - კოლეჯ „აისის“ „სერვისი და სერვირება“ /01586/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-დეკორატორი“ /01321/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-გრიმიორი“ /01519/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

ს ა ბ ჭ ო ს

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დღის წესრიგით განსაზღვრულ „მხატვარ-დეკორატორის“ და „მხატვარ-გრიმიორის“ პროფესიული მომზადების პროგრამებთან დაკავშირებით, მან დასძინა, რომ დაწესებულებას ამ ორ პროგრამასთან მიმართებაში განესაზღვრა საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღე ხარვეზის გამოსასწორებლად (გადაწყვეტილება №223076, №223061, ოქმი №221627, 2023 წლის 10 თებერვალი), ხარვეზი ეხებოდა მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების გარემოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხს, დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, კერძოდ, წერილები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსის თეიმურაზ მღებრიშვილის სახელზე, წერილში დაწესებულება თხოვდა უწყებას განემარტა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის დადგენილება №309, კერძოდ - მე-8 მუხლი, რომლის თანახმადაც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო 5 წელიწადში ერთხელ ამოწმებს დაწესებულებას სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. წერილის პასუხს დაწესებულება ითხოვდა ცენტრში წარსადგენად (წერილი №213678, 22/02/2023), ასევე აღნიშნული წერილის პასუხი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტიდან (№543995, 24/02/2023), იმის შესახებ, რომ 2019 წლის 6 ნოემბერს შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) შედეგად გამოვლენილ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევებზე შედგა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე მიწერილობა №1909, სადაც მითითებული იქნა შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისათვის საჭირო გონივრული ვადები. "სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის

№309 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული მიწერილობებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შემოწმების მიზნით სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებში საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმება უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა.

საბჭოს, ასევე, წარედგინა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი/შუამდგომლობა. წერილში აღნიშნულია, რომ დღეის მდგომარეობით, დაწყებულია მუშაობა სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, მაგრამ გარკვეული, კანონით გათვალისწინებული მთელი რიგი ღონისძიებების (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოებისათვის კანონით გათვალისწინებული ნებართვის მოპოვება და სხვა რეგულაციების შესრულება, სამუშაოების განსახორციელებლად ტენდერის გამოცხადება და ა. შ.) გამო, ვერ ხერხდება სახანძრო უსაფრთხოების ვადაგადაცილებული და შეუსრულებელი სამუშაოების დროულად წარმართვა, რაც ქმნის უკვე წარდგენილი პროგრამების დახარვეზებისა და განხორციელების უფლების დაკარგვის საფრთხეს აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მიმართავს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს, რათა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად განკუთვნილი ვადა გაუგრძელდეს 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიეწოდა ინფორმაცია და დოკუმენტაცია აღნიშნული გარემოების შესახებ, ის, რომ 2024 წელს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს უწევდა რეაგტორიზაცია, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ამდენად ყველა წერილისა და გარემოებების გათვალისწინებით საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, გაეთვალისწინებინა წარმოდგენილი გარემოებები და ორ პროფესიული მომზადების პროგრამის „მხატვარ-დეკორატორი“ და „მხატვარ-გრიმიორი“ ხარვეზი გამოსწორებულად ჩაითვალოს და უნივერსიტეტს მიენიჭოს ამ ორი პროგრამის განხორციელების უფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-დეკორატორი“ /01321/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ -

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს (ს/კ: 203851028) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მხატვარ-დეკორატორი /01321/ (დანართი 1).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „მხატვარ-გრიმიორი“ /01519/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს (ს/კ: 203851028) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მხატვარ-გრიმიორი /01519/ (დანართი 2).

საბჭო შუამდგომლობას ხარისხის ცენტრის წინაშე, რომ გამოითხოვონ ინფორმაცია წლის ბოლოს სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ და მიაწოდონ საბჭოს.

აღნიშნულ ორ პროგრამასთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე შეეხო დაწესებულების მხრიდან ცენტრში შემოსულ შუამდგომლობას, რომელიც ეხებოდა დაწესებულების ოთხ პროგრამას, მათ შორის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ და „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის“ პროგრამებს. მან დასძინა, რომ აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით საბჭომ 2023 წლის 24 თებერვალს მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება. რამდენადაც, მომზადება-გადამზადების პროგრამის უფლების მინიჭების გადაწყვეტილებებს სააპელაციო საბჭო არ განიხილავს, უნივერსიტეტმა მომართა გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოს/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელ საბჭოს თავისივე გადაწყვეტილების გაბათილების თხოვნით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ წერილში აღნიშნული იყო, რომ სახანძრო უსაფრთხოების საკითხის გადავადება უნდა განეხილა საბჭოს ოთხივე პროგრამის მიმართ, ამდენად, რაკი 2 პროგრამაზე საბჭომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, ანალოგიურად, სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ე. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს წერილისა და კულტურის სამინისტროს შუამდგომლობით შესაძლებელი იყო დადებითი გადაწყვეტილების მიღება მეორე სტანდარტთან მიმართებაში „თეატრალური კოსტუმის მკერავის“ და „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის“ პროგრამებთან დაკავშირებითაც. ასეთი შეთანხმების შემდეგ საბჭოს უკვე ჰქონდა უფლება ემსჯელა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისა და პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოსათვის სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციის თაობაზე. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წერილში საუბარი იყო ახალი გარემოებებისა და ახალი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ, რასაც თან ახლდა ამ პროგრამებისთვის

დახარვეზებული 1.10 ქვესტანდარტის გასაბათილებლად აღმოჩენილი ახალი გარემოებების საფუძველზე წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციის პაკეტი - საკვალიფიკაციო ნაშრომების შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომის დეტალური შეფასების სისტემა ნათლად აღწერს მსმენელების მიერ ნაშრომების შესრულების ქულობრივ რანჟირებას. მოცემული ინსტრუმენტებით პროგრამის პედაგოგები (პროფესიული გადამზადების პროგრამა „თეატრალური კოსტუმის მკერავი“; პროფესიული გადამზადების პროგრამა „თეატრალური კოსტუმის აქსესუარებისა და ქვილთის სპეციალისტი“) აფასებენ თითოეული მსმენელის მიერ მიღებული ცოდნის ხარისხს ქულების მიხედვით. სასწავლო პროცესში მიღებული შეფასებები წარმოდგენილია ელექტრონულ ჟურნალში, რომელშიც მოცემულია კვირეული შეფასებები. ყოველივე ეს ხარვეზის (1.10) გაბათილების საფუძველია, აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარემ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა საბჭოს განუმარტა, რომ 2023 წელი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 100 წელი უსრულდება. ტრადიციების გაგრძელების მიზნით მიმდინარეობს უნივერსიტეტისა და მასში მიმდინარე სასწავლო პროცესების განვითარებაზე ზრუნვა. ერთ-ერთი პრიორიტეტი, რომელსაც უნივერსიტეტის მმართველობითი რგოლი განიხილავს არის პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელება. უნივერსიტეტში სპეციალურად შეიქმნება ადმინისტრირების რგოლი, რომელიც აღნიშნულ პროცესებს უხელმძღვანელებს. მისი ფუნქია იქნება ინოვაციური და ბაზარზე ორიენტირებული სასწავლო პროცესების დანერგვა-განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მათი მსმენელების დასაქმებას კულტურის სფეროში.

ამასთან დაკავშირებით საბჭომ მოითხოვა სათათბირო დრო.

სათათბიროდან დაბრუნების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრს და დაინტერესებულ მხარეს, მან განაცხადა საბჭოზე წარმოდგენილი გარემოებების შესახებ და აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა აღნიშნულთან დაკავშირებით და გადაწყვიტა, განხილულ იქნას დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განახლებული დოკუმენტაცია. მან განაცხადა, რომ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საბჭო მსჯელობს „თეატრალური კოსტუმის მკერავის“ და „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის“ პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ 2023 წლის 24 თებერვალს მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების (გადაწყვეტილება №223073 და №223074) ბათილად ცნობის შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ, მსჯელობს 1.10 ქვესტანდარტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ დოკუმენტების ხელახალი შესწავლის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისთვის „თეატრალური კოსტუმის მკერავი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ 2023 წლის 24 თებერვლის №223073 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტისთვის „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის“ სპეციალისტის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ 2023 წლის 24 თებერვლის №223074 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს აპარატს და ცენტრს, რომ შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი და განხორციელდეს პირველი სტანდარტის 1.10 ქვესტანდარტის ფარგლებში დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლა და შესაბამისად, დასკვნის წარმოდგენის შემდეგ „თეატრალური კოსტუმის მკერავის“ და „თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტის“ პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების თაობაზე საბჭოს მიერ საკითხების ხელახლა განხილვა.

ასევე, აღნიშნა, რომ რამდენადაც, 2024 წელს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს უწევს რეაგტორიზაცია, როგორც უმაღლეს დაწესებულებას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ეცნობოს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხის დასრულების შესახებ.

3. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის „ქართულენოვანი რელიგიური ტური“ /01130/ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

დარგის ექსპერტის მიერ საკითხის წარდგენამდე ცენტრის თანამშრომელმა ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო კორესპონდენცია, პროგრამაში გარკვეული ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც უკავშირდება შინაარსობრივ ცვლილებებს, შინაარსობრივად შესწავლილი იქნა პირველი სტანდარტი, ფიზიკურად ადგილზე ვიზიტი არ განხორციელებულა, არ შეცვლილა პროგრამის ხანგრძლივობა, ცვლილებები შევიდა პროგრამაში შინაარსობრივად.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ, მან აღნიშნა, რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 14 მარტის №287587 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის ქეთევან ჯანელიძის და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ლანა გაჩეჩილაძის მიერ განხორციელდა შეხვედრა დისტანციურად ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის „ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“ - მონიტორინგის მიზნით. დისტანციური შეხვედრა განხორციელდა 2023 წლის 21 მარტს 16 სთ-ზე.

კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს მისამართზე ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. 52. დისტანციური შეხვედრის დროს ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის მხრიდან ჩართულები იყვნენ კოლეჯის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სასწავლო პროცესის წარმომადგენლები და პროგრამის განმახორციელებელი პირი.

კოლეჯის წარმომადგენლები გასაუბრების დროს ამომწურავად პასუხობდნენ დასმულ შეკითხვებს. შეხვედრა განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დისტანციური შეხვედრის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.6 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.6. კურსდამთავრებულის წარმატებით დასაქმების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს კომპონენტი, რომელიც გულისხმობს იმ სარეკლამო არხების მიწოდებას მსმენელისათვის, რომლის საშუალებით იგი შეძლებს საკუთარი მომსახურების შეთავაზებას მომხმარებლისათვის, შეძლებს სწორად შეფუთოს საკუთარი პროდუქტი და მოახდინოს სწორი პოზიციონირება შრომით ბაზარზე.

მონიტორინგის ფარგლებში დარგის ექსპერტმა ისაუბრა პირველი სტანდარტის ყველა ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ 1.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის „ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“ დამატების დროს დაწესებულების არგუმენტი ემყარებოდა სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის წერილს, სადაც კოლეჯს საპატრიარქო ავალეხდა, რომ დაწესებულებას განხორციელებინა პროგრამა “ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი” და მოეხდინა ეპარქიებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება.

გასაუბრების დროს კოლეჯის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პროგრამაზე უკვე სამი ნაკადის მიღება განხორციელდა და ინტერესი კვლავაც დიდია. უკვე დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, დაწესებულებამ ჩაატარა გამოკითხვა, გამოიკვეთა პროგრამის შინაარსობრივი ნაწილის ცვლილების საჭიროება, კერძოდ: რელიგიური საკითხების განვრცობა; ხელოვნებათმცოდნეობის და იკონოგრაფიის საკითხების დამატება; პრაქტიკული კომპონენტის გაზრდა. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯმა დააკორექტირა სწავლის შედეგები და წარმოადგინა შემდეგი ფორმით:

1. მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოში მოქმედი რელიგიური კონფესიები;
2. საქართველოში არსებული რელიგიური ძეგლების არქიტექტურისა და ხელოვნების ზოგადი საფუძვლები;
3. გიდის უნარ-ჩვევები და ტურის ჩასატარებელი საორგანიზაციო საკითხების მომზადება;
4. რელიგიური ტურიზმი. რელიგიური ტურის მომზადება და ჩატარება.

ასევე, დაწესებულებამ დააკორექტირა საათობრივი განაწილების სქემა და პროგრამას დაამატა საკითხები საქართველოს მულტირელიგიური არქიტექტურის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული ინფორმაციის კლასიფიცირება და ტურისტებისათვის მიწოდება. მათი განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მსმენელთა და სწავლით დაინტერესებული პირების უკუკავშირის შედეგად მიიღეს. აღნიშნულ პროგრამაზე მსურველი კვლავაც მრავლად, შესაბამისად, პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს.

დარგის ექსპერტმა 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაა „ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“. პროგრამაში წარმოდგენილი თემატიკა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: რელიგიის წარმოშობა/ისტორია; ძირითადი რელიგიები მსოფლიოსა და საქართველოში; ღვთისმსახურთა უმაღლესი ან/და ძირითადი წოდებები საქართველოში არსებულ რელიგიურ კონფესიებში; საქართველოში მოქმედი კონფესიების წარმოშობის და გავრცელების არეალი; რელიგიური ტურიზმის თავისებურებები; რელიგიური ტურის განხორციელების რეგიონის/რეგიონის კულტურული ძეგლების აღწერა; საქართველოს მულტირელიგიური არქიტექტურის კლასიფიცირება, აღწერა და დამუშავება; ტურისტული ჯგუფის წევრების შესახებ ინფორმაციის (ტურისტების რაოდენობა, ვინაობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაზღვევა) დამუშავება; რეგიონის/რაიონის გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებების შესაბამისად ტურის დაგეგმვა; ექსკურსიის ტექნოლოგიური რუქა, მისი მომზადების წესი; ტურის განრიგის შედგენა - შეკრების დრო, ტურის (დამატებითი მომსახურებების შეძენის) ღირებულება, ტურის გეგმა და განსახორციელებელი მარშრუტი, შესვენების/გაჩერების დრო და პუნქტი - დროის მენეჯმენტის პრინციპების გათვალისწინებით; ტურის წარმართვა და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

წარმოდგენილი პროგრამა “ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი” წარმოადგენს პროფესიული მომზადების პროგრამას და მასზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა-გასაუბრება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონეს.

წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირა - 230 საათი. კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15/25 სთ. პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს.

ექსპერტის შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია.

პროფესიული მომზადების პროგრამის “ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“ შედეგების მისაღწევად განსაზღვრულია შემდეგი სწავლის მეთოდები: ლექცია; სამუშაო ჯგუფში მუშაობა; პრაქტიკული მეცადინეობა.

გასაუბრებისას პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სწავლების მეთოდები არის სწავლის შედეგებზე მორგებული და მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად დამატებით იყენებენ სხვა მეთოდებსაც. ტარდება სასწავლო ექსკურსიები. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებული შედეგები ძირითადად მიმართულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის განმახორციელებელი პირი არის ა(ა)იპ ასოციაცია „Georgia For Friends“ / ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სწავლების პროცესში ასოციაციის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო ექსკურსიები. კოლეჯს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ეპარქიებთან, აქვს საკუთარი სალაშქრო ინვენტარი. გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელებისას ტარდება სასწავლო ექსკურსიები, ეწყობა რეალურ ტურისტული მარშრუტები სხვადასხვა ეპარქიებში. პანდემიის პირობებშიც კი თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხორციელდებოდა დისტანციური ტურები. შესაბამისად, დაწესებულება სწავლების პროცესში იყენებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია (ბრძანება №5, 03.01.2022) „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შეფასების წესი“. კოლეჯი შეფასებას ახორციელებს ამ წესის შესაბამისად. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით, როგორც გრძელვადიანი პროგრამების შემთხვევაში, აქაც შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება ხდება პროგრამის განმახორციელებლის მიერ პროგრამით გათვალისწინებული თემატიკის და მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად. შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წინასწარ ექვემდებარება ვალიდაციას და მხოლოდ ვალიდირებული ინსტრუმენტის გამოყენებით ხორციელდება შეფასების პროცესი. პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება ხორციელდება

პროგრამის განმახორციელებელი პირის მიერ განმსაზღვრელი შეფასებით, რომელიც ითვალისწინებს ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს ორი ტიპის შეფასებას: სწავლის შედეგი დადასტურდა და სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დამატებითი/განმეორებითი დადასტურება პროგრამის დასრულებამდე მხოლოდ ერთხელ. მტკიცებულებები აღირიცხება და ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში, ხოლო უწყისები უვადოდ.

მსმენელს აქვს უფლება საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს განმეორებით შედეგის დადასტურების უფლება, ასევე მიმართოს აპელაციას. შეხვედრის დროს დამატებით გამოთხოვნილ იქნა შეფასების ინსტრუმენტები. დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებები, შეფასების ვიდეო ჩანაწერები, შესრულებული პრაქტიკული პროექტები. აღნიშნულიდან გამომდინარე მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს და დასძინა, რომ მას პირადად არ ჰქონდა შეკითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ სურდა აზრის დაფიქსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეზო შარაბიძემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს ობიექტური და სწორი შეფასებისთვის და დასძინა, რომ დაწესებულების მიზანი იყო პროგრამა ყოფილიყო უფრო დახვეწილი, შინაარსიანი, მორგებული მსმენელების საჭიროებებზე, თავად ამ ადამიანების მოთხოვნაც იყო, მეტი ინფორმაცია ჰქონოდათ ძეგლებთან დაკავშირებით და ასეთი სახით იქნა წარმოდგენილი აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის „ქართულენოვანი რელიგიური ტური“ /01130/ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი მან დასძინა, რომ ვინაიდან მონიტორინგის საკითხის კენჭისყრა ვერ მოხერხდებოდა ელექტრონულად, ყველა საბჭოს წევრს დაეფიქსირებინა პოზიცია.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის (ს/კ: 404379070) „ქართულენოვანი რელიგიური ტურის გიდი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

ასევე, ეცნობოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ შემდგომი რეაგირების მიზნით.

4. ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის „მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი“ /01590/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ხათუნა ფარეიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 6 მარტის №260672 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა ხათუნა ფარეიშვილმა განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ ახალ პროფესიული კოლეჯში მის: ქ. თბილისი, (სოფელი დიდოძი) დავით აღმაშენებლის ქუჩა №52.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული მომზადების პროგრამა „მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი“, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 16, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ.თბილისი, (სოფელი დილომი) დავით აღმაშენებლის ქ. №52.

მან ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან მიმართებაში და აღნიშნა, რომ პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, ფიუზინგი ეს არის მინის დამუშავების ინოვაციური ტექნოლოგია, რომელიც გამორჩეული ნამუშევრების შექმნის საშუალებას იძლევა. ამ მეთოდით დამუშავებული მხატვრული მინა

თანამედროვე დიზაინის სფეროში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს და ფართოდ გამოიყენება არქიტექტურაში, ექსტერიერსა და ინტერიერში. საქართველოს ბაზარზე მინის მხატვრული ნაკეთობები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რომელთა დამზადების ტექნოლოგიის შესწავლა ხელს შეუწყობს მსმენელთა თვითდასაქმებას. ახალ პროფესიულ კოლეჯში 2019 წლიდან სს. „თელასის“ დაფინანსებით მოეწყო არაფორმალური განათლების ცენტრი „სახელობო სკოლა“, სადაც მსურველებს (სკოლის მოსწავლეები, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა თავმჯდომარის ბენეფიციარები, კოლეჯის პროფესიული

სტუდენტები) შეეძლოთ დაუფლებოდნენ მინის მხატვრული დამუშავების (ფიუზინგი) ტექნოლოგიას. პროექტის ფარგლებში დაწესებულებამ შეიძინა ყველა საჭირო ინვენტარი/მასალა ნედლეული, გაარემონტა და მოაწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სწავლების პროცესში შეიქმნა ბევრი გამორჩეული ნამუშევარი, რომლებმაც სასწავლო წლის ბოლოს გამორთულ გამოფენა-გაყიდვაზე დიდი მოწონება დაიმსახურა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნა, რომ „სახელობო სკოლის“ რამდენიმე კურსდამთავრებული თვითდასაქმებულია, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის ბენეფიციარებს კი თავიანთ დაწესებულებაში მოუწყო სახელოსნო, სადაც ისინი დღემდე მუშაობენ, იღებენ გარკვეული სახის შეკვეთებს, მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენა-გაყიდვებში და გააჩნიათ საკუთარი შემოსავლები. პანდემიის პირობებში სახელობო პროგრამებზე მიღება შეჩერდა დაწესებულებაში, ბოლო პერიოდში კი გაჩნდა მაღალი ინტერესი მინის მხატვრული დამუშავების შესწავლაზე, რაც დასტურდება საზოგადოების მხრიდან კოლეჯის თანამშრომლებთან უშუალო კომუნიკაციის, ასევე დაწესებულებაში განხორციელებული სატელეფონო ზარებით და კოლეჯის მიერ ჩატარებული საჭიროების კვლევის დოკუმენტით.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტები და აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება „მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და მისი სახელწოდება, მიზანი, შინაარსი და შედეგები ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან.

პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან დაამატა, რომ პროგრამის მიზანია მოამზადოს და შრომის ბაზარს მიაწოდოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული უნარების საფუძველზე, ფიუზინგის ტექნიკის გამოყენებით სხვადასხვა მცირე და საშუალო ნაკეთობების შექმნას (მაგ: ჭიქის დასადები, ნაძვის ხის სათამაშოები, სამკაულები, სურათი, ჩარჩო, ზარდახმა და სხვადასხვა მცირე ზომის დეკორაციები). პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მსმენელებში ისეთი უნარების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მათ დასაქმებაში/თვითდასაქმებაში. ამდენად, პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ

პროგრამა წარმოდგენილია ელექტრონული სისტემის (qms.eqe.ge - პორტალზე) მიერ გენერირებული ფორმით. პროგრამის დაშვების წინაპირობის ველში მითითებულია: განათლება - საბაზო;

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. პროგრამა დაგეგმილია 12 კვირიან სწავლებაზე, რომელიც შედგება 140 საკონტაქტო საათისგან. ყოველკვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა იქნება 10-15 საათი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და საშუალებას იძლევა მსმენელები შეირჩეს მათი წინარე ცოდნა-უნარების ან/და გამოცდილების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პერიოდში. პროგრამის განხორციელებისას გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტი. პროგრამა სრულად ხორციელდება C გარემოში.

პროფესიული მომზადების პროგრამა წარმოდგენილია 4 სწავლის შედეგით, რომლებიც სრულად და ამომწურავად მოიცავენ პროგრამის შესწავლისთვის აუცილებელ თემატიკას. ეს სწავლის შედეგებია:

1. მომავალი პროფესიული პროფილის განსაზღვრა და სამუშაო გარემოში უსაფრთხოების წესების განმარტება;
2. ხატვის ტექნიკური ხერხების შესრულება კომპოზიციის ელემენტებით და კომპოზიციის აგება ფანქარში;
3. ფიუზინგისთვის ესკიზის შექმნა;
4. ფიუზინგით ფილების და რელიეფური ფორმების დამზადება.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯის მიერ მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობაა - 16. მსმენელებს შეუძლიათ სრულფასოვნად აითვისონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები. კონკრეტულად ამ პროგრამისთვის შენობაში გამოყოფილია შესაბამისი C - სასწავლო გარემო, სადაც, განთავსებულია განმახორციელებლის და 8 მსმენელისთვის ყველა საჭირო ინვენტარი და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი. პროგრამაზე მსმენელთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრება 16 მსმენელი, ორ ჯგუფად.

C - სასწავლო გარემოში გამოკრულია „მინის სახელოსნოში უსაფრთხოების დაცვის წესები”.

რაც შეეხება პროგრამის განმახორციელებელ პირებს, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ განაცხადის თანდართული დოკუმენტებით პროგრამას განახორციელებს 2 განმახორციელებელი პირი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ 2 განმახორციელებელი პირიდან ერთ-ერთი შერჩეულია პროგრამის განხორციელების დროს ძირითად განმახორციელებლად, ხოლო მეორე პირს გამოიყენებენ საჭიროებისამებრ.

ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება განმახორციელებელ პირებთან, ასევე, გადამოწმდა მათი განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით დადებითად შეფასდა პროგრამის განმახორციელებელ პირთა ცოდნა, უნარები და კვალიფიკაცია.

სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე

დაწესებულებას წარმოდგენილ პროგრამაში მითითებული აქვს მხოლოდ ინტერნეტ რესურსი, თუმცა ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ქართულენოვანი სახელმძღვანელო „მხატვრული ქარგვა”, რომელიც ხელმისაწვდომია მსმენელებისთვის. დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერით, ასლგადამღებით და ყველა საჭირო რესურსით. მსმენელებს შეუძლიათ სასწავლო რესურსი გამოიყენონ ადგილზე, ან საჭიროების

შემთხვევაში მოთხოვნილი მასალა მიიღონ ამობეჭდილი სახით. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია „ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია”.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე შედგენილი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების 2021 წლის 19 მაისის №59 აქტით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, სოფელ დილოძში, დ. აღმაშენებლის ქ. №52-ში მდებარე ახალი პროფესიული კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

დარგის ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ მესამე სტანდარტი - პროგრამის ადმინისტრირება სრულად არის დაკმაყოფილებული. პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარე ნინო ბაბალაშვილი დაინტერესდა როდიდან გეგმავდა დაწესებულება პროგრამის განხორციელებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებას აპირებდნენ მაისიდან, ასევე აღინიშნა, რომ მათ დაუკავშირდა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო და დაინტერესდა პროცესის მიმდინარეობით. დაწესებულების წარმომადგენელმა იქვე აღნიშნა, რომ კოლეჯს აფინანსებდა საპატრიარქო და სწავლა იყო უფასო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის „მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი“ /01590/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი /01590/ (დანართი 3).

5. სსიპ - კოლეჯ „აისის“ „სერვისი და სერვირება“ /01586/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა ზაირა ბერიძემ მიმართა საბჭოს წევრებს და ცენტრის წარმომადგენლებს, რომ ამ საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას, ვინაიდან როგორც დარგის ექსპერტი, ჩართული იყო ამ პროგრამის შემუშავებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნანა შათირიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 6 მარტის №260663 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა ნანა შათირიშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა, მათა აბდლაძემ 2023 წლის 21 მარტს განახორციელა ვიზიტი სსიპ კოლეჯი „აისში“, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ.კაჭრეთში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „სერვისი და სერვირება“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ექსპერტისა და ცენტრის წარმომადგენლის მიერ განხორციელდა გასაუბრება კოლეჯის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან, ასევე, გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსი, ბიბლიოთეკა,

განხორციელდა პარტნიორ კომპანიასთან ვიზიტი, პრაქტიკული კომპონენტის სწავლების დათვალიერების მიზნით.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის დასახელებაა - „სერვისი და სერვირება“,

პროგრამის სახე - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები, კერძოდ **ქვესტანდარტი 1.7**

ა) სერვისის და სერვირების მოკლევადიან მომზადების პროგრამაში "სერვისის პლიუსის" სწავლება მსმენელებისთვის საერთაშორისო დადგენილი სტანდარტის მიხედვით.

ბ) თანმიმდევრული გაყიდვების სწავლება უშუალოდ მაგიდის მომსახურების დროს, რაც შემდგომში მაღალბიუჯეტის მომხმარებელს უზრუნველყოფს დამსაქმებლებისათვის.

ქვესტანდარტი 1.8

სერვისსა და სერვირებაში (ზოგადად) თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება ელექტრონული წყაროების საშუალებით. (ვიდეო, ფილმი).

შემდეგ მან ისაუბრა პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. ვითარდება შიდა ტურიზმიც, რომლის განვითარებასთან ერთად საკმაოდ მნიშვნელოვანია დაინტერესებული პირებისათვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება. ბოლო წლების განმავლობაში, კახეთის რეგიონში, შეიმჩნევა სასტუმრო ქსელებისა და სარესტორნო საქმიანობის ზრდის ტენდენცია, რასაც ხელს უწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაც. ამ მიზნით საქართველოს და კონკრეტულად კახეთის რეგიონს შეემატა საკმაოდ ბევრი, მაღალი სტანდარტების შესაბამისი სასტუმრო და რესტორანი, რაც თავისთავად, მოითხოვს სასტუმროს და სარესტორნო მომსახურების მიმართულებით მაღალკვალიფიციური პროფესიონალი კადრების არსებობას და

დაინტერესებული პირებისთვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზებას. რეგიონში ამ მიმართულებით შეინიშნება კვალიფიციური და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრების დეფიციტი.

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის პერიოდში კოლეჯმა ჩაატარა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, როგორც სამეწარმეო სუბიექტების (დამსაქმებლების) და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ასაკისა და ფენის წარმომადგენლებმა (სულ 336 პირმა) გამოკითხული სასტუმროების და რესტორნების წარმომადგენლების მხრიდან გამოიკვეთა მოთხოვნა პროფესიული მომზადების პროგრამაზე სერვისი და სერვირების მიმართულებით

პროგრამის ფარგლებში, დაწესებულება პრაქტიკის განხორციელების მიზნით ითანამშრომლებს ორგანიზაციასთან „ამბასადორი კაჭრეთში“, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად გამოხატა თანამშრომლობის სურვილი და ცალსახად აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მას, როგორც მოქმედ ორგანიზაციას, ესაჭიროება პროფესიონალი კადრები. ისინი მზად არიან მიიღონ მონაწილეობა სასწავლო პროცესში და შემდგომ კურსდამთავრებულების დასაქმებაში.

რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, პროგრამის დაშვების წინაპირობაა: - საბაზო განათლება, ასაკი 16 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 (თორმეტი) კვირას, სულ 280 სთ. (25 საათი თერთმეტ კვირაში და მეთორმეტე კვირაში - 5 საათი შეფასებისთვის) პროფესიული მომზადების პროგრამის „სერვისი და სერვირება“ სწავლების თეორიული ნაწილი განხორციელდება კოლეჯში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი გათვალისწინებულია პარტნიორი ორგანიზაციის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს ორი პირი, რომელთაგანაც გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. დაწესებულებამ წარმოადგინა განმახორციელებელთა პირადი საქმეები კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომებითა და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით განმახორციელებლებს უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს მოხდა ორ განმახორციელებელთან გასაუბრება, აქედან ერთ-ერთი იქნება ძირითადი განმახორციელებელი. აღნიშნულ პირს გამოცდილებასთან ერთად აქვს დიდი მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელების. პროგრამა ნამდვილად უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით.

მან ასევე ისაუბრა მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით. „სერვისი და სერვირება“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისათვის სსიპ კოლეჯ „აისს“ გააჩნია კოლეჯის ბაზაზე არსებული A გარემო, თეორიული მეცადინეობისათვის განკუთვნილი პრინციპით და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე არსებული C გარემო, პრაქტიკისათვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც იძლევა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების საშუალებას, მოკლევადიანი მომზადების პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი/აღჭურვილობა და ორგანიზაციის შესაძლებლობები. პროგრამის ფარგლებში სწავლება განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე (A გარემო) და პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე (C გარემო) სასწავლო პროცესს წარმართავენ დარგის შასაბამისი კვალიფიციური კადრები მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილებით.

მან დასძინა, რომ პროგრამის ფარგლებში კოლეჯს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს „ამბასადორი კაჭრეთთან“ პრაქტიკული კომპონენტის თანაგანხორციელებასთან დაკავშირებით, ორგანიზაცია უზრუნველყოფს

საკუთარ ბაზაზე პროგრამის მსმენელებისათვის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას და შეფასებას, რომელიც განსაზღვრულია ერთობლივად შემუშავებული პროფესიული მომზადების პროგრამით.

ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება საკუთარ ბაზაზე; უზრუნველყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ინვენტარი/აღჭურვილობა; უზრუნველყოს მსმენელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემო; უზრუნველყოს მსმენელების მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის გავლა და შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების ვადით და შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულებას ახლავს დანართი, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.

პარტნიორმა გამოხატა თანამშრომლობის სურვილი და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მას, როგორც მოქმედ ორგანიზაციას, ესაჭიროება პროფესიონალი კადრები. ისინი მზად არიან მიიღონ მონაწილეობა სასწავლო პროცესში და შემდგომ კურსდამთავრებულების დასაქმებაში.

დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს 2 სასწავლო რესურსი, მათ აქვთ მატერიალური სახითაც და ასევე გაციფრული ლიტერატურა. ამისთვის სასწავლო გარემოში აქვთ 3 პერსონალური კომპიუტერი და 2 ლეპტოპი, ინტერნეტის უწყვეტი მიწოდებით, სადაც მსმენელებს შეუძლიათ მოიძიონ დასახელებული ლიტერატურა. სასწავლო გარემოში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესიც. სასწავლო რესურსი ნამდვილად ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, კოლეჯმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს წერილი და აქტი, რითაც დასტურდება, რომ სსიპ კოლეჯ „აისის“ შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაშია სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან. დარგის ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა დანარჩენ ქვესტანდარტებთან მიმართებაში და დასძინა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია. პრეზენტაციის ბოლოს მან წარმოადგინა სასწავლო გარემოს ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ სურდა დაწესებულებას დაეფიქსირებინა თავიანთო მოსაზრება.

დაწესებულების დირექტორმა მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს, განაცხადა, რომ ეთანხმებიან და მისაღებია დაწესებულებისთვის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები და დასძინა, რომ დაწესებულებაში არსებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები ორიენტირებულია მსმენელების მაქსიმალურად დასაქმებისკენ, სწორედ ამ პრინციპით აქვს დაწესებულებას შერჩეული პროგრამები, რომლებიც ხორციელდება დაწესებულებაში. მან ასევე დასძინა, რომ დაწესებულებას ჰყავს ისეთი ძლიერი პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც ნადვილად საწინდარი იქნება აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმატება უსურვა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „აისის“ „სერვისი და სერვირება“ /01586/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „აის“ (ს/კ: 227770800) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სერვისი და სერვირება /01586/ (დანართი 4).

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:27 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

